ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302334252**
თარიღი: **08/12/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2023 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით გამოიყო 150000 ლარი მუნიციპალიტეტში სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისათვის და სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსებისათვის 550000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 020101) სამუშაოების დაფინანსება 12507 ლარით, მათშორის ცენტრალური ბიუჯეტი 11882 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება- 625 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 04 იანვრის N116 განკარგულებაში შევიდა ცვლილება 2023 წლის 10 ნოემბრის N2133 განკარგულებით და დამატებით გამოეყო სტიქიის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად 335000 ლარი; მათშორის სოფელ ქვიანში სანიღვრე არხების მოწყობაზე 219363 ლარი, ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხორეთში დროებითი ხიდის მოწყობა 115637 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის წერილის საფუძველზე ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგარმით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის 900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა 900 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური აქტივების მუხლი 10000 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 9500 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის, (ორგ.კოდი 03 02) შემცირდეს ტრანსპორტის,

ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 445 ლარით, აღნიშნული შემცირერების ხარჯზე გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 8700 ლარით და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება 10000 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის (ორგ.კოდი 03 02) გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 445 ლარით მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის (ორგ.კოდი 02 07) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურების მუხლი 800 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდოს 2000 ლარით.

აღნიშნული ხარჯის უზრუნველყოფა განხორციელდეს ბიუჯეტის ნაშთის ხარჯზე.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი